

რამე რუმე მთისა

(1892 წელი)

თერგი და მცინვარი. - ზამთარი. - ჩემი მეზობელი თორღვა. - დიდი თამარი, სულლუმი და ცისკარი. - ჩემი სალაშქრო სიმღერები. - კიდე თორღვა, მე და სოსიკა. - ცოტა რამ ჩვენის ხატ-ჯვარის მითოლოგიისა. - მე და თორღვას დაგვეხსენით. - რა მოსდევს ჩვენს შეწუხებას? როგორ უყურებს თორღვა სკოლას? - იმისი სამდურავი. - მე და თორღვას კაი კაცობა. ჩვენს წინაპრებს რომ ქაჯი ჰყოლია? - კიდე რა გვაბრაზებს მე და თორღვას. - ჩვენი ნატვრა. - ვინა ჰყავს შუმწე ბარისახოს სკოლას?

ბევრს უთქვამს რამე მცინვარზე და თერგზე; მეც ჩემი წერილი იმისაგან უნდა დავიწყო, დიად, უნდა დავიწყო, მაგრამ რითი? რაღა დარჩენილა უთქმელი?.. პირველად იმათ დანახვამ კინალამ შესხმა არ ათქმევინა ჩემ უფროსო მუზასაც. მაგრამ, როცა ის პარნასის ზედადგარზედ უნდა დაბრძანებულიყო, უცებ გონებამ მუშტი მოუღერა, დაუდგა წინ და მტკიცედ უთხრა: „ჰკვიანად, ტუტუცო! მოფიქრდი, შესდეგ. რომ გაჰჩანგოსანდი, ახლა ქება-დიდება უნდა უსაზანდრო არა, მაგ ბუნების მეტიჩარაებს? ეგ ძალიან კარგი და პატიოსანი, მაგრამ განა ცოდვა იქნება პატარახანს ტვინის კარაბადინიც გადმოჰშალო და შენს თავს ჰკითხო: „რითია კარგი ეგ აყლაყუდა, თოვლ-ყინულიანი გველვეშაპი, ცა-ქვეყნის შუა რომ ძლივსა თავსდება. რითია საყვარელი ან ეგ საყელე წამღერილი მობუბუნე თერგი? რა ყრია ან პირველის ხელაუწვდენელ სიმაღლეში, ან მაგის დაუცხრომელ, განუწყვეტელ ღრიალსა და ალიაქოთში? რას გვარგაინ? სხვა რა გამოსდნება მაგათ სიდიადეს უბედურების მეტი?“

მე და ჩემი „მუზა“ ძალაუნებურად დავემორჩილენით გონების ხმას, - მოგვეწონა იმის სამართლიანი გულის ტყრდომა და ერთხმად წარმოვსთქვით: დიად, მეთქი: წყალსაც წაუღია თვით უმაღლესი მშვენიერობაც, გონიერებაც, სიძლიერეც სულისა და ჯანისა, უკეთუ მხოლოდ მოყვასის წარსაწყმედად იქმნება მოხმარებულიო“. ეს ხომ ასე იყო, მკითხველო, მაგრამ ჩემი და მრავალი სხვისაც თვალ-გული ზედ ჰრჩება და აკვდება აბ ბუნების საკვირველ ქმნილებათა. რადა? და იმიტომ, უთუოდ, რომ შორით მოჩანან და გვაკვირვებენ - არა?

თორემ მე აქ უნდა შევდგე: სათაურში „მთის რამე-რუმე“ რომ გამოვჭიმე, ეხლა ცოტა უნდა უკან დავიხიო: მთა დიდია, იქ „რამე-რუმე“ ძალიან ბევრი მოიპოვება; ამ წერილის ნავარაუდალ ფარგალში ყოველივე ის არ მოთავსდება. ამიტომ იძულებული ვარ ასპარეზზედ ხევსურეთი გამოვიყვანო. ახლა საიდან დავიწყო, უბედურება ეს არის. ამბებიდამ? ეს ხომ ადვილიც არის და დაჩვეულიც გახლავართ; მაგრამ ის თეთრმა-წვეროვანი პაპა რომ გვყავს, რომელიც მთელ ბუნების აღტკინება-აყვავებასთან კვდება და იმის სიკვდილს და განადგურებასთან კი ცოცხლდება: ის პაპა, ზედ რომ თოვლ-ყინულის ნაბადი ახვევია და საშინელი, დაღრუბლული, თეთრი თვალების კილოებში ყინულის კარჩხის წამწამები ურჭვია, რომელიც წამდაუწამ ოხრავს, ჰფურთხავს და თოვლის ხვავად ჩამოდის იმის ნადუჟი; ცხენის მაგივრად ბუქვით და ქარაშოტებით რომ დაბრძანდება და თუმც ძალიან დაჩანაკებულია, მაგრამ მაინც ისეთი მკვირცხლია, რომ თუნდ ერთ წუთში ცხრა მთას და ზღვას იქით ამოჰყოფს თავს, - აი სწორედ ის ჩამოსარჩობი პაპა ჩავვიდგა „ზეკუციად“ და იმდენი თოვლი მოგვაშალა, რომ ჩემ პირლამაზ მეზობელ თორღვასაც ვეღარ

გამოვლაპარაკებია: ერთი ლაზათიანად გული მომეფოლხვა იმასთან მასლაათით! მერე რა ლექსები, ამბები და ძველის-ძველი „ისტორიები“ არ იცის ჩემმა ფილოსოფოსმა! მერე განა მომიწყინდება ჩემი დარბაისელი, თუნდ ხუთი დღე-ღამე გაბმით დავსვა და ვაჭუჭკუკო, ოღონდ წარსულისას ვკითხავდე და მიამბობდეს?! თუმცა თვითონ ომის ყურით გაგონებაც ეჯავრება, მაგრამ სასაუბროდ უწინდელი თარეშობანი კი ძალიან ეხალისება... მიამბობს და მიამბობს, თუ იმის „წინაკაცთ“ მითხოდამ ცხვრის ფარები როგორ გამოურკიათ, წამოუსხამთ; მდევარი როგორ აპტეხია და მოწვენა გაუბედავ; იმათაც მაშინ ცხვარი როგორ დაუყენებიათ; ჰმგერებიან მგელივით; ცოცხალი, საუკეთესო ერკემლებისათვის დუმები დაუჭრიათ, „სასამღებო“ „დაუჭიკავთ“, მერე ცხვრისთვის თავი იქვე დაუნებებიათ, გამოქცეულან, ქორ-შავარდნებივით, მთები ფრენით გადმოუვლიათ და „დატენულნი“ შინ მოსულან.

თორღვას იმით უყვარს კიდე წარსული, რომ ხალხს მაშინ მახტა არ უღია; ზამთარს ის არ უწყუხებია; გამუდმებული ზაფხული ყოფილა, ხალხს ერბო და ყველი სრულ თავსაყრელი ჰქონია.

ამ ნეტარებას თორღვა თამარ დედოფლის დროს მიაწერა, რომელსაც ვითომც ზამთრის მგზავნი „მხრიანი“-სულღუმი და ვარსკვლავი ცისკარი ერთად ჰყოლიან კოლოფში დამწყვდეულნი. თავად ერთხელ საცადა „ზღვის იქითა“ ყოფილა წასული. შინ დაუნარჩუნებია ერთი პირის-ფარეში გოგო. სახლის უნჯი, თვალ-მარგალიტი, ოქრო-ვერცხლი, გასაღებები, თუ სხვა რამე, სულ იმ გოგოსა ჰქონია მიბარებული. სად რა ჰქონია თამარს ჩადებული, ან შენახული, იმ გოგოსაც ჰსცოდნია; არა სცოდნია მარტო იმ კოლოფში რა ჰქონდა. ამიტომ, როცა ქალბატონი იქ გაუგულებია, ის ყუთი გაუღია. „მხრიანი“-სულღუმი, რომელიც ზამთარს აჩენს, ამოხტომია და მთებისკენ გაფრენილა; ცისკარიც აფრენილა და ცაზედ შემჯდარა. სულღუმი ყაზბეგის, „გველის მთის“, ანუ არხოტის მთის „კვრივში“ სადღაც დაბინავებულა... დედაკაცის ნატყვევარი ძალიან განრისხებული ყოფილა. რაკი ერთი განთავისუფლებულა, მაშინვე დაუჭყვივლნია, დაუწყვია ფრთების ტყლამუნი; მზე გაუბრუნებია; აუცივებია, აუტეხნია ქარები, ღრუბლები გადმოუსხამ და მთა-ბარი თოვლით გადაუღესია. თამარი ზაფხულის წასული და ზამთრის მოსულა! სწყენია, მაგრამ რაღას უშველიდა?!

მას აქედ ცისკარი მნათობად არის ცაში, სულღუმი კი, ბოროტი „მხრიანი“, დარ-ავდარს განაგებს და დრო-ჟამს აბრუნებს: გაზაფხულს ზაფხულით აბერებს, ზაფხულს შემოდგომით აკუნობს; შემოდგომას ზამთრის თოვლ-ყინულით შეჰსუდრავს და სულს ამოაძრობს.

ამ ამბავს თორღვა დაბეჯითებით გაიმბობთ; საჭიროებისამებრ ჯვართაც შემოგფიცავსთ. უფროსი კაცია, იცის, რომ ყურს უგდებთ. რომ უფრო დაგისაბუთოდ ნამბობი, იმასაც მოგახსენებთ, რომ სულღუმის მნახავი ქისტი-ცოგალა დღესაც სოფელ გველეთში სცხოვრობს და ხელმწიფისაგან „გველის მთის“ მყინვარების ყარაულად არის დაყენებულიო. როგორ მომხდარა ეს, თორღვას სიტყვით? აი მოგახსენებთ: ცოგალა მონადირე ყოფილა. ერთხელ ნადირობის დროს იმას კლდეში ნაჯდომი სულღუმი უნახავ და გაჰმეგობრებია; იმისაგან უსწავლია მთა-ტინებში გასავალ-გამოსავალი, ნადირის გეზები; უსწავლია აგრედვე შორიდან შეტყობა, სად საზვავა, სად ბევრი თოვლი ჰმევს ან ცოტა; სად ნაძრავი მყინვარია და სხვა. ცოგალას ამგვარი საცოდრის ხმა შორს გაჰვარდნია.

ამ ცხრა-ათი წლის წინ მთავრობას ქისტები გველეთიდან აუყრია და სხვაგან გადაუსახლება.

ვიდრე ეს მოხდებოდა, ცოგალა, თორღვას სიტყვით, „ხელწიფეს ჰბლება, უჩვენებია, ფრთეი სულღუმისა. ხელმწიფეს დიდად გაჰკვირვებია და დაუყენებავ მყინვართ ყარაულად, დაუგდავ იქავ გველეთ; „პენციონიც“ ქვე დაუნიშნებავ. მას აქეთი ას ცოგალა გველეთ და დღემუდამ მყინვართ ჰშინჯავს: თუ მყინვარნ დაიდრნენ, - დაუმატებს ჩემი მომუსაიფე, - ძაუგ და რუსეთ სუ გაღლეწს. იმათაც ას ყარაულად დაყენებულ ის ურჯულოი. რახან შაჰხენებს განა, რომ მყინვარნ იძვრიან, ტაჰაშს აცნობებს, ის კიდევ ძაუგ სა რუსეთ; იქით კიდევ ხალხი გაღრიდებს. თორო ერთხელ კი სუ ნაგაბარ უქნავ მყინვართ ძაუგი“.

ასე გულუბრყვილოდ მიამბობს თორღვა. დარწმუნებულია თავად და მეც მარწმუნებს. მკითხველო, თქვენ იქნება ცოგალასი მყინვართ ყარაულობა დაიჯეროთ. მე და თორღვას კი ცისკრის და სულღუმის ზღაპარიც ჭემმარიტად მიგვაჩნია. გვჯერა ისიც. რომ თამარ-დედუფალი არ მომკვდარა; რომ იმას უხვედრ ალაგას ანგელოზებთან ოქროს კუბოში ჰსძინავს, რადგანაც მეფობის ვადა, ღვთის განგებით, ჯერხნობით, სხვას არ გასვლია. მაგრამ დრო მოვა და ისევ გაიღვიძებს. ეს მაშინ მოხდება, როცა ხალხი მეტის მეტად შეწუხდება და ცხოვრების ილაჯი გაუწყდება...

მაშინ მხოლოდ ერის ტირილის და ღაღადების ხმა მიახწევს მძინარე დედის ყურამდის. გაღვიძებული, ვიცი, ის ჯერ ატირდება ქვეყნის საცოდაობით, და მერე ბურთი და მოედანი მე და თორღვასი იქნება. თორღვა ბაირახტარი მექნება და მე ბებური - თოფოსანი მოვმართავ ჩემს მშვიდად მოჟიჟინე ფანდურს და გამარჯვებულს ლაშქარს ყაბახზედ ვუმღერებ ხევსურულის კილოთი:

მაშინ კარგია კაი ყმა,

რა დილა- ბინდით დგებოდეს;

იცვამდეს გრილსა რკინასა:

„ომს ვიზამ“ - ემზადებოდეს.

ცხენი კი ჰხრამდეს ლაგამსა,

ქყოდეს, ტოტზედ დგებოდეს.

*

მაშინც კარგია კაი ყმა,

რა ბრძოლის ველზედ ჰქროლავდეს;

ხმლით ჰცემდეს, თოფით ესროდეს,

შუბის წვერითა ჰჩხვერავდეს;

გარს ომი იყოს: ბრწყინავდეს,

ხმლები, თოფები ჰხველავდეს.

*

მაშინ რაღა ჰჯობ კარგ ყმასა,

როცა მამაცის პირითა,

ნაომარ - ნასახელარი

შინ მოდიოდეს ლხინითა:

გული, სახელით დამთვრალი,

მოჰქონდეს, როგორც ღვინითა,

შინ ჰყვანდეს ცოლი ერთგული,

იწვოდეს მოლოდინითა?! “

მაგრამ აქ კი ჩემი რაში - პეგასი უნდა შევაყენო, რადგან „მოლექსია“ თორღვას არ მოსწონს. ესეც არ იყოს, იმას თავზედ მცოდნე და მეცნიერი კაცი არ ეჭაშნიკება, არცა ჰგონია. ან რად უნდა ეგონოს, როცა „ძველების“ „ანდრეზები“ და სიტყვა-პასუხი დიაკვნის „მამაო ჩვენოსავით“ აქვს გაზეპირებული?!, მაინც ბევრი მოთხოვნილება ჩემ მეზობელს არა აქვს: ოღონდ ქერის პური და „კუსი“, - ფურის ყველი, ნუ დააკლდება; საჯერისთაოდ კვირაში თითოჯერ ერბოთი ან დუმის ნაჭრით ჩაიპოხოს ყელი; საზამთროდ ერთი-ორი ლიტრა „ცხვარ-ვერძით“, ან ძროხის ხორცი „ჩააძმოს“; საქონლისთვის ჩალა გამხმარი, ზაფხულშივე შენახული ფოთოლი და „ნაკერი“ ნუ დააკლდება, სხვა თქვენი იმას არაფერი უნდა. ქალაქები, ინტელიგენცია, თეატრი და სხვა მაგისტანები ყველამც ბაზალეთში დაღუპულა; ჩვენთვის საჭირო არც ერთი არ არის... ჩვენ განდევნილები გახლავართ: ჩვენთვის ფილოსოფოსებიც თავადა ვართ, პუბლიცისტ-ჟურნალისტებიც. ასტრონომ-ასტრო-მეტეოროლოგოსებიც, ერთის სიტყვით ყველაც, და ბოლოს პოეტ-მეფანდურეებიც. თუ დარიგებაზედ მიდგება, შეგიძლიათ თქვენ ჩვენთან მოჰბრძანდეთ, ჩვენ კი მანდ წამოსასვლელად არა გვცალიან. ხმა არ გვივარგა. მკვახედ ვერ ვიტყვით თუ? მანდაც რომ არ წამოვიდეთ, აქედამ კი ვერ გაგაგონებთ? აი, თუნდ სანაძლეოზედ, მე და ის რომელსამე უმაღლესს მთის მწვერვალზედ აგვასხით; თქვენ კიდევ ასორმოდდაათი ათასი მთის და ზღვის იქით წაბრძანდით; იქიდან ჩვენ ერთი ისეთი გამოვიქუხით, რომ თქვენ კი არა, თვით ჰიპოპოტამსაც, კიდევ თქვენს იქით შიშით კანკალი დააწყებინოს: ეს რა ღვთის რისხვა მომესმაო, გესმისთ? ჩვენ აბუჩად ნუ გვიჭერთ: პატიოსანი, დარბაისელი ხალხი ვართ: ღმერთსა ვლოცულობთ და ხატსა.

სხვასთან რომ ვმედიდურობთ, ერთმანეთში ძალიან მშვიდობიანადა ვცხოვრობთ მე და ჩემი მეზობელი. ისიც ვის კაი კაცობით? რასაკვირველია, - იმისა, რადგან მე სიტყვაში ჩამოსული ვყევარ: თუნდა სრულ „ნაგაბრად“ გაილოს ჩემი მკვდარი და ცოცხალი, მე ალერსიანად „ბალი-აღას“ ვეუბნები. მაგრამ სწორედ ერთი ხასიათები კი გვაქვს მე და იმას: ლამის მეც გავთორღვავდე და ისიც გამწარიავდეს, რადგანაც მე მწარია მქვიან. მაშ დაცა, ასე არ იქნება? აკი „ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“, თქვენ არ იცით ბარელებმა? ასე, ჩემო ბა-ტონო, ჩვენ სწორედ „შავნი შაშვნი“ ვართ, შავსა კლდესა შინა მსხდომარენი... ნუ დაგავიწყდებათ, წედან არ მოგახსენეთ, რომ ჩვენი ჩვენი ჭკვის ხალი ვართ, ღმერთიც არ მოგვწონს, თუ მხოლოდ „ღმერთია“. აი, ჩვენი სარწმუნოება: ღმერთია, ხატია, „ჯვარია“ თუ სხვა ვინმე ბრძანდება, თუ ჩვენებური „ტალავარი“ არ აცვია, ჩვენებურად შაზიკულ ძუაგამონასკულ ცხენს არ ზის, და კოხტად ხმალდელამფრით გამოკანკლული არ არის, ის, ბატონებო, ჩვენი არ იქნება... იტყვიან, თუ ეს სვეტიცხოველიო, ეს ალავერდი და თეთრი გიორგიო, ეს სიონი და იმათ მოხატე ნაზარეველიო, მაგრამ ჩვენ იმათი არ გვმართებს რა. აი გენაცვალეთ ჩვენს ხახმატის ჯვარს - ასკაიძეს და იმის თანამეტახტეებს: გუდანის ხატის ჯვარს - ბერბაადურს, კარატის ჯვარს - კოპალას, ბაცალიგოს ჯვარს, ცეცხლის ანგელოზს პირქუშს, ფშაველთ სალოცავს იახსარს, წმინდა გიორგის ლაშარელა-ლაშარის ჯვარს, იმათ განუყრელ ძმობას და ვაჟკაცობას. ისინი არა ჰგვანან სხვადასხვა სალოცავებს, რომლებიც თქვენ გაგიგონიათ... ახლა ვინ რა იცის, იმ თქვენს კირით თეთრად ამოლესილ ტამარ-საყდრებში ზისა კი ვინმე ლოცვა-მსახურობის ღირსი? ჩვენ სრულ ეჭვი გვაქვს, რომ იქ ქრისტიანი სული ვინმე ბუდობდეს. მაგრამ ჩვენი სალოცავის, ხატ-ჯვარების საქმე სრულ სხვაა: ისინი მარტო უჩინში კი არა სხედან და მსხდარან, არამედ მზექციყანაზედაც უვლიათ და კვლავაც დიიან. იმათ წინამძღვრობით ბევრჯელ ულაშქრნია ჩვენს მამა-პაპას; ბევრჯერ გასულა თარეში და მდევარი და უსახელებია თავი; იმათ გაპრიალებულ ხმლის ბელადობით ბევრი მტრებისთვის აგვიდენია მტვერი და დაგვიდგია ბეგარა. იმათ, სხვასა-იქით, ქაჯეთიც აუკლიათ და დაუმორჩილებიათ. რა მაშინ და მერე, - როცა დღესაც ბევრი ხდება ღირსი სიზმრით და საცხად იმათი ნახვისა: ჰნახეთ, რომ ისინი ჯაჭვ-ჩაჩქნიანები, შურთხებივით ყელმოღერებულები, ნაურვალის „ხვადებით“ ნიავექარივით უვლიანგარს თავის საყმით! თქვენი სალოცავებისა ვის რა უთქვამს, მაგრამ ჩვენების გმირობა ყველა ძუძუმწოვარა ღლაპსაც უნდა ჰქონდეს გაგონილი ჩვენს ქვეყანაში. გესმით? არ გეჯერებათ? აბა, მაშ, ჩვენს სამტყუილოდ, სოსიკა ჩაფარი რო გდია, „ბარის ყვითელა“ - იმასა ჰკითხეთ, რას იტყვის. თორემ რა სოსიკა? ვინ სოსიკა? ჩვენი აუგის და სახელის დამალვა არც მე და თორღვას მოგვიდის: უმეტნაკლებოდ ჩვენც ვიცით „უბნობაი“. ამიტომ ყური დაგვიგდეთ, რა გიამბოთ: კაცო, მე და თორღვა ერთხელ „ფიხონში“ ვართ და ერთურთის მემჯობიას ჩვენი სალოცავების „ნაპიროფლეჯუედ“ ვესორბოითლებით ჩვენებურებს. ვნახოთ. აკი ამ დროს სეფედავლიანთ სოსიკა იქ არ მოხისფეხებულა. და უცებ არ წამოჰტყვრა და არ მოახალა ჩემ მეზობელს ქისტურ დამბაჩასავით: „ეჰ, რაც ბიჭი შენა ხარ, დათუნი, ის შენი ხახმატ-გუდანას სალოცავებია: ემაგრე რო ჰბერან, ხომ გაგისქდნენო“.

ჩემ მეზობელს, შევატყე, ბალანი აეშალა და უსათუოდ შეუღლის გულს დადგა, მაგრამ მე შევაყენე, ვუთხარ: „ჩხუბით და ყალმაცალით კი არა, დალაგებული სიტყვაკაზმულით დავუმტყიცოთ ჩვენი ნათქვამი მეთქი, “და ვიდრე ჩემი მეზობელი გულს დაიმშვიდებდა, მე თვითონა ვკითხე: „ე, ბაჯბაჯა ქართველო, საიდან იცი, რომ ჩვენი „ჯვრები“ გულადნი, პურადნი, შემბედავნი და მრეთამრენი არ არიანო?“

სოსიკამ ერთი სხვანაირად გადმომიხედა და თავის ღუთლუთა ენით არხეინად მითხრა: „იქიდან, „კოპალეს“ ყმაოვო, რომ, ჰხედამ ერთი ტკაველი კაცი არა ვარ, მაგრამ ასიათასი კატა თავის დედაბუდიანად რომ დამხვიოთ და თქვენაც თავის ფარებიანად იმათ დაეტანოთ, აი ემ მუჭტით, სოსიკა არ მოკვდება, ანგე აიმ მთას იქით გადაგრეკამთ და ერთი მკვდარი კატა კი თქვენს ხატ-სალოცავებს, თავის ხევის-ბერ დასტურიანად, თუნდა ხევსურეთიდან სულ გადასახლებს ერთი დაღწავლებით, ისე ეშინიათ იმისაო“.

ეს რომ მითხრა, გაჩუმდა. მე ღვთისა წინაშე, მეწყინა, მაგრამ წარამარას გადამცემი არ მომწონს, არც ავაყოლებ ჭკვასა. თორღვა ხომ უფრო მძიმე კაცია. ჩვენ მუდამ ჭკვიანური საუბარი გვიყვარს, ნიადამ სილოგიზმებით შემტკიცებული... თუმცა მე არა ვსთქვი რა, მაგრამ ძალიან კი შემიკეთა იმ ბაიყუმ „ბარისას“ სიტყვებმა, თორღვაც ხომ სრულ გააცეცხლნავთა, - მაგრამ ისევ მე დაუშალე და ვუთხარ: „აბა, რაც იცი, ნუღარა ჰმალავ, დააყარე, მეთქი“. მაშინ თორღვამაც გადაუშალა თავის უქმურის წიგნი და ისეთ-ისეთი წაუკითხა ჩემ ტრაბახა „კახას“, ხომ სრულ კბილები გამოაკრეჭინა. ჩინებულის მოხერხებით უამბო ქაჯ-დევეების ქვეყანას ჩვენის ხატ-ჯვრების გალაშქრების ამბავი. სოსიკამ ნათლად დაინახა, რომ კუდიანებმაც მიჰმართეს იმ ხერხს, რომელზედაც იმან ილაყბა, მაგრამ ვერაფერი წაიღეს. როცა ჩვენმა ბატონებმა ქაჯეთი აიკლეს და დავლა-ალაფიანნი შინათვე გამობრუნდნენ „დევე-ქაჯთაც“ ბევრო მოესროლეს იმათ „ციცეების“, ძაღლების და სხვა „უსურმაგის“ ნაჭერ-ნაკუწები, მაგრამ გმირმა ბერბაადურმა - გუდანის ჯვარმა დაღამფარი უფარა, ვაჟმა ასკაისძემ - ხახმატის ჯვარმა - კაბის კალთები, და ტანზეთ არც ერთი არ მიუკარებიათ. ბორბლის მთასთან, ერთ ვიწრო გამოსავალში ქაჯებმა მათ ცვენის დოლოჩაც აუყუდეს, მაგრამ ბიჭნი იმაშიც შიგ გამოძვრნენ და ნასახელარ - გამარჯვებულნი „იქავ ხევსურთს“ მოიქცნენ, ხახმატს შეიყარნენ: აქედამ ყოველივე ქაჯეთიდან წამოღებულ-წამოსხმული ღმერთს გაუგზავნეს; თავად მხოლოდ ერთი საუკეთესო ფური დაიჭირეს, რომელიც საღმრთოდ დაკლეს, სისხლით „გაინათლნენ“ და ისევ ის „ვაჟნი“ გახდნენ. იმ ფურის რქა, რომელშიაც ერთი კოდი პური ჩადის, ეხლაც ხახმატის ჯვრის მონაშენობაშია შენახული, მაგრამ „თქვენ ფერეებს კი იმას არ ვაჩვენებთო“, დაუმატა თორღვამ. თქვენ თვითონაც კარგად იფიქრებთ, მკითხველო, რანაირადაც შეარცხვენდა ამნაირი პასუხი სოსიკას. ჩვენი ბატონები ქაჯებსაც გადაურჩნენ, კატებსაც, - ნადავლი „იმდენი ერთი“ ღმერთს გაუგზავნეს და ბიჭები არა ყოფილან? მე და თორღვას მამ მართალი არ გვითქვამს?

ეჰ, ბარელებო, თქვენ მაინც კი ხალხი არა ხართ. თქვენი საყდრები და სალოცავები ჯერ თქვენს მღვდელ-მონაზვნებსაც აღარა ჰწამსთ, არამც თუ თქვენ რადმე გაგაჩდესთ. მერე წამოხვალთ და, ვინც არა მგონია, ჩვენ გვიქადაგებთ: „მოიქცენით, მოქრისტიანდითო“. მაგრამ ღმერთი ყველასა გვხედავს. ამიტომაც „ხორიელაა“, შავი ჭირია, ხუნაგია, მუცელაა, ციებცხელებაა, თუ სხვა რამეა, უწინ თქვენ შემოგიკლევსთ და მუსრს გადენთ. ჩვენა?

ჩვენ ყველაც შეღავათით გვეპყრობა. ან რას გვერჩიან? რაც შეგვიძლიან, ჩვენს ბეჩავს სამსახურ არ ვაკლებთ არც ღმერთსა, არც ჯვართა: დღემუდამ იმათ ვლოცულობთ, იმათ შავძახით. მუხლს ვუყრით, ვახვეწებთ იმათ დავლათს ჩვენს თავს და ცხოვრებას... რამდენჯერ გაგვითავებია მე და ჩემს მეზობელს ცხვარ-ძროხა იმათ ხვეწნაში!.. ჩვენ იმითი ვართ ბედნიერნი, რომ ჩვენს ბატონებს ალღოში ჩამდგრები ვყევვივართ... როცა ჩვენგანი ვინმე ავადა ხდება, „დოხტურს“ და ფერშალთან არ გავრბივართ თქვენსავით, რომლებიც თქვენ ტყუილად გფცქვნიანთ და გატყავებენთ: ჩვენ ვიცით, რომ რომელსამე „ღვთის შვილს“ ან

სამსახური რამ დავაკლეთ, ან გულს რაზედმე მოგვავალებს... მკითვავ-ქადაგიც იმიტომ გვინდა, რომ ამ დღეს გამოგვადგეს... მივალთ და ხელდახელ „ამოგვიხსნის“, ვინ რას გვედავება, და ჩვენც სამსახურისად მზადა ვართ: ცხვრით, ძროხით, „თეთრით“ და სანთლით; სიდიდ-ბევრით როდი შევწუხდებით... „ღმერთსამც ნუ ვაწყენთ“ და ძალიან დიდ-დიდი მუცლები კი აქვთ რადმე იმ დალოცვილებს... თორემ ღმერთმა ალალი უყვასთ: მაინც ყველა ხატ-ჯვარნი ძალიან დამხიდავებია ჩვენი. ვსთქვათ, ჩემი მძმანებელი „ჯვარი“ მე შემომწყრა და ზიანს რასმე მიპირობს; მაშინ მყოფე „ჯვარი“ შუაკაცად შემოდის: მე მმსახურებია, ჩემთვის მოურთმევია მომეტებული საკლავი. „გული მოიბრუნე, ხუ დაჰლუპავო“. ისაც უხათრებს - კარგია, არა და - წასულია ჩვენი საქმე მაგრამ ამნაირი შემთხვევა ძალიან იშვიათია, რადგანაც იმათ უფრო ერთ-ერთის ხათრი აქვსთ. „მოკვეთილი“ მხოლოდ „ხადური ჯვარი“ ჰყავსთ ჯვართა: იმას არ იკარებენ ახლო, თვითონაც ერიდებიან. ახიც კია, მე და ჩემმა ღმერთმა!... რასა ჰბრძანებთ? იცით რა უქნია იმ დალოცვილს? რა და ისა, რომ ხახმატის ჯვარისთვის ოქროს სამართებელი და სალესველი მოუპარნია. იმას ჯერ ჩვენ არ „ვჩადით“ ჩვენს ქვეყანაში, რომ ჯვარს ეკადრებოდეს? - სხვაგან კი „ქვეც რა უშავდა?“ ისაც სად უქნავ იმას „კანტალაობა“ ... იქა, ჩემო კარგო, რო ხახმატის ჯვარი, როცა ქაჯეთით მომავალა თავის თანამოლაშქრე ხატებით, იმათ ლაშქარს წყალი მაჰწყურებია. ხახმატის ჯვარს კარატის ჯვრის კოპალასთვის „დაუძახებავ“: „მამეშველე, ჯარი წყურვილს მეღევისო“. ისაც მაჰკებებია: ერთ უწყლო ადგილს მდელოსად ლახტი დაუტყელაშნია, წყარო ამოუყვანია და მთელი მხედრობა დაუძღვია. „ხადური ჯვარი“ კი „უდუმლივ“ მოსულა და ის კაი კაცობა გაუწევია, რაც წელან გიამბეთ: ოქროს სამართებელი და სალესველი მოუპარნია მოზავე ხატებისათვის, რომლებიც იმათ ქაჯეთიდან წამოღებული ჰქონიათ..

ასე , ჩემო ბატონო : ჩვენც , ჩვენს ადგილსაც , ჩვენ სალოცავ ხატ-ჯვარსაც, ჯამ-კოვზსაც კი, უეჭველად თავისებურობა ამშვენებს. ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართ, არავის არც საშინაო, არც საგარეო საქმეებში არ გვინდა გავერივნეთ, თორემ იცოდეთ, სარწმუნოებასაც, სახელმწიფო წყობილობასაც, თანამედროვე პოლიტიკა-დიპლომატიასაც, კანონებსაც, საზოგადოებას და ჯალაბობასაც, ადამიანს და ყველა სხვა სულდგმულსაც-ფერი და იერი შეეცვლებოდა! მაგრამ ჩვენ ჩხირკედელობა არ გვიყვარს. რადა? და იმიტომ, რომ ჭკვიანები ვართ: ჩვენ მარტო ჩვენი თავი ვიცით, ჩვენი სოფელი და „თემთ პირი“. იმას იქით ხელი არა გვაქვს... ჩვენი სავალი გზა და ხიდი, დიდი ხანია მამა-პაპას გაუკეთებია. იმას იქით , უსიკვდილოდ, დღეს ცალი ფეხის გადადგმაც არ გვინდა. ეს ზნე დიდად სამაგალითოა, ამ სტრიქონის წამკითხველებო, ჩვენ რომ არავის გაწუხებთ , თქვენ რაღა გინდათ ჩვენგან , თქვე კაი კაცებო, რას ეჩხირებით ჩვენ საქმეში? ვინა გთხოვათ, მობრძანდითო?

სჩანს, თავისუფლება თქვენ მხოლოდ თქვენთვის გეზოგებათ, ჩვენ კი - თუნდა წყალმაც წაგვიღოს - ეს აინუნშიაც არ მოგდისთ, - ასე არ გახლავსთ?

აი თუნდაც: შარშან მოგვეჭრა ვინღაც, მღვდელი თუ ბლალოჩინი, არ ვიცი, დაგვერია, ბატონო: სად ხატს ეცა და გადმოატრიალა, სად ხევისბერები და ქადაგები გვიტყვიან; მანდილოსნების სამრევლოები ხომ ერთიან პირქვე დაგვიცა, დიდი და პატარა სრულ დედაკაცების „ნალახში“ ამოგვათრია; სწორად კინაღამ მეორ-მოსვლა მოგვეგვარა, მღვდელ-დიაკვნებს ხომ ისეთი შუშხი მისცა, რომ შიშით ზღურბლსაც ვეღარ გადაჰცილებოდნენ. სხვა არა იყოს რა, ცოლშვილის ნახვა მაინც აღარ უნდოდათ? თორემ ამისთვის კი ითხოვდა ხოლმე

თითო კვირაობით, მაგრამ ეს რას ეყოფა? ცოლშვილში მისული კაცი თუ შინ სამი-ოთხი თვე, ხან ხუთი-ექვსი არ დარჩა, აბა რა ლაზათი აქვს?.. რა უნდოდა, ახლა, რას გვერჩოდა? იმას, რომ აგვიშურნა, აღარავის თვალთ დანახვა აღარ გვინდოდა; კინალამ ჩვენც წაგვწყმიდა, თავს ხომ უფრო კაი სიკეთე უყო. დილას თორღვა მიამბობდა: „ცირბინს იქით გადაკრულს ამბობენო“. ეკ, ნეტავი ჩვენთვის ხელი არ ეხლო და თავად რაც უნდა მოჰსლოდა. თორემ სხვანაირად კი ამბობენ იმის საქმეს. ღმერთმა უწყოდეს, მართალი ვინც არის... ამგვარ საქმეების გარჩევაში მე და თორღვა არ შევდივართ: ჩვენ უფრო პირდაპირ დაჯერება ვიცით ხოლმე... ეს უფრო ადვილიც არის და სამართლიანიც. მერე გაბრაზებული ქვეყანა რამდენსაც საუცხოვოს რასმე გამოატყვრენს, იმდენი რომ ჩვენ ყურად ვილოთ და იმის გარჩევაში შევიდეთ- ერიჰა!

ეხლა? ეხლა კი მშვიდობიანობა ჩამოვარდა; ყველას თავისუფლება მოგვეცა, ცხოვრებამ ისევ ძველი კალაპოტი დაიჭირა... თორემ მე აქ უნდა ენას კლიტე დავიდვა, რადგანაო, შესაძლებელია, იარმუკაზედ ნაღდი საწონელი გაიფდეს და „ფალჩივი“ საქონლის ოსტატები ნაამაგარს ვეღარ გაასაღებენ.

ესეც არ იყოს, მე და თორღვას სიმამაცე მხოლოდ ორ-წყალს ზევითა მრისხანებს, ხოლო ქვემოთ მისხა ჩამოდავრინება ცოტა „იავაშ-იავაშით“ ვიცით ხოლმე.

დიალ! მე და თორღვას ის კი დაგვიწყებია, რომ სკოლაცა გვაქვს, მაგრამ ნეტავი არ იყოს: იქ რომ მასწავლებელია, ლამის ბალები სრულ თავისკენ სრულ გადაიბიროს რა უუნცროსოები დაგვწიროს თავის ბუნაგებში: ან შეშას აღარ უნდაა კარით შინ „შემოღებაი“; ან საქონისად ჭერხოდამ საქმელს „ჩამოყრაი“, ან „ნაკერს“ „მანაყად მოღებაი?“ არ ვიცი, რას ჩამოგვცივებია ის ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება? რად უნდა ჩვენი დაღუპვა? ბიჭო, ჯერ ერთი სკოლის შენობა იყო, ის არ გვეხდინებოდა, ახლა მეორეც წამოჭიმა და ისაც სადა! სადა და, ღმერთმა რომ სამაგიერო სიკეთე უყვას მას დიდის ბერბაადურის, გუდანის ჯვრის სახატო მამულზედ! გაგონილა ამგვარი ღვთის გმობა, ქრისტიანებო?! მე და თორღვას ვეღარ გაგვიგია, რითილა უნდა ვცეთ ჩვენს ბატონს პატივი, სადღა უნდა მოვიყვანოთ ქერი, რომ „ან ლუდ ვქნათ, ან არაყი იმის სადიდებულოდ?“ ეს კი „კაი ას“, რომ ახალი სკოლის აივნის ქვეშ ბევრი ფიცრები და ფიცრის ნარჩებია შელაგებული: იქვე სხვენში სადღაც შენახულია წითელ-ყვითელი საფერავები, რომლებსაც მე და თორღვამ მივაგნეთ, რადგან ჯერ დაუმთავრებლობის გამო იქ არავინ სცხოვრობს. რად გვინდა განა „ი უჩიტელა, თუ მასწავლია ას“, რომ იმას დავეკითხნეთ? ან განა, მართლა, ხელმრუდობა იქნება ისა, რომ მე და თორღვა (მარტოკა ვიყო, დიალ, ცუდ-კაცობა იქნებოდა), ორნი, როცა ვიხელთებთ, არხეინად ჩავიდეთ, თუნდა ღამეც იყოს, „ფიცარიკეებიც რა ამოვიტოლათ ილლიაში, საფერავებიც რა წამოვიღათ; მაგიდათ შინა, და უნდა ჰნახათ, რა ხელს კარადეებს და კიდობლებს გავაჭრელებთ იმეებით. ახ, ლეტავი ი საფელავებ კი ჩვენ მოგვცა, გაუმარჯვა საღმთოს!“

ბიჭოს! სკოლაც ხომ კარგი რითმე ყოფილა. ეს ფიქრადაც არ მოგვსლია მე და ჩემს „მმას“. სკოლისა კი რა მოგიხსენოთ, მაგრამ ჯვარ-მენდლები კი ორთავ ძალიან მოგვწონს. ისაც ძალიან გვსურს, ჩამოსარჩობი ვაჭრები არ გვატყუილებდნენ ან აქ, ან ქალაქს. პაპა ჩვენს კი ქაჯი ჰყოლია დაჭერილი და, როცა ტფილისის ქალაქს მიდენილა, ის უვლევია თან. მომკვდარა ისაც (ღმერთმა აცხონოს), ქაჯიც სადღაც მოუსავლეთს გადაქაჯულა და ჩვენ კი

დღეს ქალაქს აღარ ჩაგვესვლება ზოგი თავში გვიფაჩუნებს, ზოგი ლაფს და დამპალ რამეებს გვესრის; ზოგი მთის „დათუნებით.. და სხვა ამ ფერის სამაგალითო სახელებით გვასურათებს. აღარ ვიცით, „რაი ვქნათ?“ ახ, ნეტავი თითო აპელატი კი მოგვაკრა , ან არა და, ჩინგის ყაენის და თემურლენგის შეძლება მაინც მოგვცა, რომ „თბილი ქალაქი“ კი არა , თვით „პეტრებუდიც“ ძირ–ბორჯიანად გადმოგვეტრიალებინა. ვფიქრობთ ახლა: ქალაქს არ წავიდეთ, უფროც გაგვატყავებენ ეს მაწანწალა მესკლატ–მენავთეები. გუდარახის ძირს ჩაიარო დუქანში (ჩვენში ხომ არ არის, ღვთის მადლით), გირვანქა ნავთს, თუ ორ შაურს ნახევარ შაურიც არ დაუმატე – არ მოგცემენ; ლიტრა ცხენის მარილს ექვს შაურზედ ნაკლებ ვერ იშოვნო, ჩვენში კი აბაზიც „თეთრია“, ფულია, არ არის ადვილი საშოვნო, მაგრამ ერთი ზნე მე და თოღვას კარგი გვჭირს: სხვაგან როცა რამე მოგვდის, ადგილობრივ, კიდევ ვგრძნობთ და ვფიქრობთ. როცა ჩვენის ბუდის კარზედ არ მივალთ, მაშინ კი ყველაფერი დაგვავეიწყდება და ისევ ის „შავნი შაშვნი“ , თუ უფრო ყვავნი, შავიქმნებით, წელან რომ მოგახსენეთ. კიდე ცოტა რამე, მკითხველო, და მერე აღარც შეგაწუხებთ. თუმცა მე და ჩემი ძმა კაცი და ყოვლად პატიოსანი მეზობელი თორღვა ასე თანხმობით და ძმურად ვცხოვრობთ ერთმანეთში, თუმცა ყოველივე ჩვენ საერთო გვაქვს, მაგრამ სრულ ცოტა რამით ვერ მოვდივართ ურთიერთის ახში. იმას, თუ დიდად არა, ცოტად მაინც ღარღლადა აქვს გულში, რომ ჩვენი მხრის პრისტავი თ. ჯ–ი ხანდახან შემოგვიტევეს ხოლმე სკოლის თაობაზედ: „ეს შეშა მოუტანეთო, ეს ბალებს სწავლას ნუ აცდენთო, ეს მასწავლებელს ნუ აწუხებთო“. მე კი ამგვარი მისი საქციელი საქებურად მიმაჩნია და ერთხელ, თუმცა მეშინოდა ჩემი პირთეთრი მეზობლისა, მით, რაც თავგანწირულება და შებედულობა მქონდა, შემოვიკრიბე, და მაღლა ბანიდამ ძირს კარებზედ ნადგომს გამოვუთეთრე: „უთუოდ საქებურად იქცევა მეთქი“

ამბობენ მასწავლებელს თავის სკოლის მზრუნველობა ეთხოვნაო და იქნება არც იმან იუაროსო. ეს რომ მართალი გამოდგეს და კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებაც სათნო გაუხდეს. ჩემთვის კი სასიამოვნო ამბად ჩაითვლება, ხოლო თორღვასი კი რა მოგახსენოთ?

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადეს:

ქ.რუსთავის მე-18 საჯარო სკოლის აზერბაიჯანული სექტორის მოსწავლეებმა: **საბინა მახმუდოვამ, ნაზან მახმუდოვამ და რაფიგა გასანოვამ.**